

საქართველოს ფინანსური ინსტიტუტების რეგიონული ინტეგრაციის შესაძლებლობები

DOI:10.36962/ECS105/5-7/2023-40

ხათუნა შალამბერიძე
ეკონომიკის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
xatuna-shalamberidze@mail.ru

რეზიუმე

საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიაში, ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე. ქვეყნის განვითარების ზოგადი სტრატეგია - თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობაა.

კვლევის მიზანია გავარკვიოთ საქართველოსა და მეზობელი სახელმწიფოების საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობა რეგიონული ეკონომიკური შედეგების მიღწევამ, არსებული მდგომარეობის გაანალიზება და განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა. ქვეყნის სტრატეგიის პრიორიტეტებთან ერთად, მთავარი სტრატეგიული ამოცანაა რეგიონული თანამშრომლობა და ინტეგრაცია - ეკონომიკის დაბალანსებული განვითარება, ურბანული ადგილების მეტი ფუნქციურობა, სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირება, მმართველობისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, საბანკო, სადაზღვევო და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობა, რაც დაეხმარება საქართველოს მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი ღირებული უპირატესობები, მათ შორის გეოგრაფიული მდებარეობა.

განხორციელებული ღონისძიებები განაპირობებს დაფინანსების ინსტრუმენტების მრავალფეროვნებას. ახალი ფინანსური ინსტიტუტები საბანკო სექტორთან და სადაზღვევო კომპანიებთან ერთად გაზრდის საფინანსო შუამავლობის და, შესაბამისად, საინვესტიციო რესურსების ეფექტიანად, რისკების დაზღვევით განთავსების ხარისხს, რაც, საბოლოოდ, გააუმჯობესებს ფინან-

სებზე ხელმისაწვდომობას როგორც ქვეყანაში, ისე შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის. საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით დაინერგება დაკრედიტების ახლებური სქემები და შემუშავდება ახალი საფინანსო პროდუქტები.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული თანამშრომლობა და ინტეგრაცია; ეკონომიკური კავშირების განმტკიცება; ფინანსური ინსტიტუტების რეგიონული (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები) ინტეგრაციის შესაძლებლობები.

შესავალი

საქართველო, რეგიონალურ თანამშრომლობას განიხილავს, როგორც ერთ-ერთ საგარეო პრიორიტეტს. ამასთან, გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ძალისხმევა მიმართულია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების განმტკიცებაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის განვითარებას. შავი ზღვის სივრცე საკმაოდ საინტერესო და რთული რეგიონია. რეგიონისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები და კულტურა, ქვეყნების განვითარების განსხვავებული დონე და ეროვნული ინტერესები. რეგიონის წარმატებული განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე, ქვეყანათა ეროვნული ინტერესების შესაბამისობაზე და პრობლემების დადებითად გადაჭრისათვის შესაფერისი მიდგომისა და დროის შერჩევაზე.

გლობალიზაციის თანამედროვე ეპოქაში, საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში ძალზედ იზრდება საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების, როგორც მათი წევრი ქვეყნების ინტერესების დამცველის როლი. ამ მხრივ BSEC-მა ძალზედ კონსტრუქციული და მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს, რათა განახორციელოს წევრი ქვეყნების ძირითადი მიზნებისა და ინტერესების დაცვა როგორც რეგიონალურ, ასევე გლობალურ კონტექსტში.

საქართველოს ჩართულობა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (BSEC) მნიშვნელოვანია, რადგან,

წვერი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ კავშირის მთავარი მიზანი იქნება რეგიონის ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა, წვერი ქვეყნების ხალხის კეთილდღეობა და შავი ზღვის სივრცეში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა. ასევე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) შექმნა, რომლის სტრუქტურას საფუძვლად მსოფლიო ბანკისა (WB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ორგანიზაციული პრინციპები დაედო. ზოგადად ეს პრინციპები ითვალისწინებს: ქვეყნების ეკონომიკური და ფინანსურ მოთხოვნილებებს, ბანკის სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობებს და რეგიონალურ ხასიათს.¹ კონსტრუქციულ გარემოში შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესი ხელს შეუწყობს წვერი ქვეყნების განვითარებასა და მთლიანად ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას.

შავი ზღვის რეგიონს გააჩნია მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა. იგი ერთდროულად ესაზღვრება, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ასევე ჩრდილოეთსა და სამხრეთს. ამასთანავე, BSEC-ს, რომელიც მოიცავს 20 მილიონ კვადრატულ კილომეტრსა და 330 მილიონზე მეტ მოსახლეობას, უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი და მნიშვნელობა გააჩნია. ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი BSEC-ის სივრცე წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად რეგიონს. შავი ზღვის სივრცე ასევე წარმოადგენს პროდუქციის გასაღების დიდ ბაზარს ევროპისა და მსოფლიოს სხვა რეგიონებისათვის. ამავდროულად BSEC-ს გააჩნია სტრატეგიული მნიშვნელობა რეგიონში არსებული მდიდარი ენერგო რესურსების, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მარშრუტების გათვალისწინებით, რაც საკმაოდ მიმზიდველია ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით.²

1 <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC/BSEC-Georgia.aspx>

2 ეკა ლეკაშვილი, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია - მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის სრულყოფის მიმართულება, თბ., „უნივერსალი“, 2018, გვ. 28-29.

ქირითადი ტესტი

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს თანამშრომლობის ყველა სტრატეგიული მიმართულების მოცვა. ამ მხრივ, შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამშრომლობა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის დარგში, რაც განპირობებულია აღნიშნულ სფეროებში მიმდინარე და დაგეგმილი გლობალური მნიშვნელობის პროექტების არსებობით. ამასთანავე BSEC-ის რეგიონი მიმზიდველია ტურიზმის, ტელეკომუნიკაციების, სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო საწარმოების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგებში თანამშრომლობის თვალსაზრისით. აგრეთვე გასათვალისწინებელია ორგანიზებულ დანაშაულთან, საერთაშორისო ტერორიზმთან, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან, იარაღისა და ნარკოტიკულ საშუალებათა არალეგალურ ვაჭრობასთან, ადამიანთა ტრეფიკინგსა და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლაში BSEC-ის არსებითი როლი და მნიშვნელობა.¹

საქართველოს, როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყნის აღქმის ზრდის აქტიური დინამიკა, ზღვაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, პორტების, ნავთობტერმინალების, საზღვრის დაცვის, თევზჭერის, შავი ზღვისპირა ტურიზმის განვითარების პერსპექტივების და ა.შ. გაძლიერება, განსაზღვრავს როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეების, ასევე სახელმწიფო მოხელეთა მენტალობის ცვლილებას. ისეთი საზღვაო მეზობლები როგორიც უკრაინა, ბულგარეთი, მოლდოვა და რუმინეთი გახდნენ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორები პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროში. დღეს ხდება მათი, როგორც მეზობლების აღქმა. შავ ზღვას არა მხოლოდ რეგიონული, არამედ საერთაშორისო გეოპოლიტიკური დატვირთვაც აქვს.

ვინაიდან BSEC-ი შეიქმნა როგორც ეკონომიკური ორგანიზაცია და მიზნად ისახავს წევრ-ქვეყნებს შორის ეკონომიკური

¹ <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx>

ურთიერთობების განვითარებას, ასევე, საერთაშორისო და ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობათა დაახლოებას, შესაბამისად, საქართველოც მხარს უჭერს BSEC-ში მიმდინარე პროცესებს და ცდილობს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებმა უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ და განამტკიცონ ეკონომიკური კავშირები. ეს პროცესები ბუნებრივია საჭიროებს ფინანსური სექტორის გააქტიურებას. კერძოდ, ერთის მხრივ, ფინანსური შუამავლების: საბანკო სექტორის აქტივების ხელმისაწვდომობას და მეორეს მხრივ, სადაზღვევო პროდუქტების გამოყენებას რისკების შემცირების თვალსაზრისით.

ორგანიზაციის ძირითადი პრინციპებისა და მიზნებისადმი ერთგულება უდაოდ წვლილს შეიტანს BSEC-ის წევრ-ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში. თანამშრომლობის შედეგი შესამჩნევი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ქვეყანა გადადგამს ნაბიჯებს საერთო ინტერესებისა და ღირებულებების ჩამოყალიბების მიმართულებით. მდგრადი განვითარების ერთადერთ გარანტს ურთიერთდამოკიდებულება და თანამშრომლობა წარმოადგენს. რეგიონალური თანამშრომლობის ნახალისება, ყოველ მნიშვნელოვან საკითხზე ერთობლივი მუშაობა და ძირითად პრობლემებზე ძალისხმევის მიმართვა საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობასა და კეთილდღეობას.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB) საქართველოში ახორციელებს მნიშვნელოვან ფინანსურ თუ ეკონომიკურ პროექტებს. საქართველოში განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტები:

სააქციო საზოგადოება “საქართველოს ბანკსა” და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც BSTDB-მ გამოუყო სესხის სახით შპს “პროგრესს” 1 მლნ. აშშ დოლარი.

სააქციო საზოგადოება “საქართველოს ბანკსა” და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც BSTDB-მ სააქციო საზოგადოება “საქართველოს ბანკს” გრძელვადიანი კრედიტის

სახით გამოუყო 1.5 მლნ აშშ. დოლარი. აღნიშნული კრედიტის გამოყოფა საბოლოოდ დამტკიცდა 2001 წლის მაისში ქ. თბილისში გამართულ BSTDB-ის მმართველთა საბჭოს წლიურ შეხვედრაზე.

საქართველოს “მიკროსაფინანსო ბანკსა” (ამჟამად “პროკრედიტ ბანკი”) და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც BSTDB-მ გამოუყო საქართველოს “მიკროსაფინანსო ბანკს” 1 მლნ. აშშ დოლარი მოკლე ვადიანი პროექტების განხორციელების მიზნით.

ქ. თბილისში გამართულ “შავი ზღვის ბიზნეს დღეზე” საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსა და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს შორის ხელმოწერილ იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც ხსენებული ბანკი, ჰოლანდიის სპეციალური ფონდის ხელშეწყობით, საქართველოში აარსებს ექსპორტის ხელშეწყობ სადაზღვევო/ საკრედიტო სააგენტოს.

ფოტის პორტში ნავთობტერმინალის აგება. აღნიშნული ოპერაცია მოიცავს თანამედროვე დიზაინის ნავთობტერმინალის აგებას ფოტის პორტში კასპიის ზღვიდან შავი ზღვის მიმართულებით შეღავათიანი საექსპორტო მარშრუტის გახსნის მიზნით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებას სარკინიგზო მიმოსვლისა და ნავთობის ტრანსპორტირების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მეშვეობით და ზოგადად ხელს შეუწყობს რეგიონში ნავთობგადამუშავების პროექტების განვითარებას. BSTDB-იმ მონაწილეობა მიიღო ამ პროექტის თანადაფინანსებაში და სესხის სახით გამოყო 8 მილიონი აშშ დოლარი.

“TBC ბანკისთვის” საექსპორტო ოპერაციების განხორციელების მიზნით ფინანსური სახსრების (კრედიტის) გამოყოფა. აღნიშნული კრედიტი, თავდაპირველად 2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით დამტკიცდა BSTDB-ის დირექტორთა საბჭოს მიერ. პროექტის წარმატებული განხორციელების შედეგად აღნიშნული თანხა შემდგომში 5 მილიონ აშშ დოლარამდე გაი-

ზარდა. პროექტის შედეგად ქართველ ექსპორტიორებს საშუალება ეძლევათ დააფინანსონ გადაზიდვები, რაც გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას.

საქართველოს “პროკრედიტ ბანკი”-სათვის (ყოფილი “მიკროსაფინანსო ბანკი”) კრედიტის გამოყოფა მიკრო და მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სესხების გაცემის მიზნით.

BSTDB-იმ ხელი მოაწერა შეთანხმებას საქართველოს “პროკრედიტ ბანკი”-სათვის (ყოფილი “მიკროსაფინანსო ბანკი”) 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის გამოყოფის შესახებ მიკრო და მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სესხების გაცემის მიზნით.

საქართველოს “პროკრედიტ ბანკი”-სათვის სესხის გამოყოფა მიკრო სესხების გაცემისა და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის მიზნით. BSTDB-იმ ხელი მოაწერა შეთანხმებას საქართველოს “პროკრედიტ ბანკი”-სათვის 6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხის გამოყოფის შესახებ მიკრო სესხების გაცემისა და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის მიზნით.

“TBC ბანკი”-სათვის მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის მიზნით საკრედიტო ხაზის გახსნა. BSTDB-იმ ხელი მოაწერა შეთანხმებას “TBC ბანკთან” 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ, რის საფუძველზეც TBC ბანკი საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებზე გასცემს მოკლევადიან სესხებს.¹

განხორციელებული ღონისძიებები განაპირობებს დაფინანსების ინსტრუმენტების მრავალფეროვნებას. ახალი ფინანსური ინსტიტუტები საბანკო სექტორთან და სადაზღვევო კომპანიებთან ერთად გაზრდის საფინანსო შუამავლობის და, შესაბამისად, საინვესტიციო რესურსების ეფექტიანად, რისკების დაზღვევით განთავსების ხარისხს, რაც, საბოლოოდ, გააუმჯობესებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას როგორც ქვეყანაში, ისე შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის. საფინანსო

1 <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC/BSEC-Georgia.aspx>

ინსტიტუტებთან თანამშრომლობით დაინერგება დაკრედიტების ახლებური სქემები და შემუშავდება ახალი საფინანსო პროდუქტები. ქვეყნის ძირითადი ინტერესების მხარდაჭერის მიზნით, საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობის განვითარებას ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მცირე და საშუალო მენარმეობა, მეცნიერება და ტექნოლოგიები და სხვა.

საქართველოს ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს ქვეყნის, როგორც მთლიანი რეგიონის დემოკრატიული განვითარების განმტკიცება. აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად საქართველოს ძალისხმევა მიმართულია რეგიონში ხელშემწყობი გარემოს შექმნისაკენ და ამ მხრივ საქართველო მიესალმება BSEC-ის წევრი-ქვეყნების ევროკავშირში და ნატოში მიმდინარე ინტეგრაციას. საქართველოს სწამს, რომ BSEC-ის წევრი-ქვეყნების მომავალი მდგომარეობს უფრო უსაფრთხო და სტაბილურ შავი ზღვის რეგიონის შექმნაში. რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა და არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება არსებითად განამტკიცებს რეგიონული უსაფრთხოების სისტემას.¹

დასკვნა

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში, როგორც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გაერთიანებას, გააჩნია დიდი ეკონომიკური პოტენციალი, რომლის განვითარებაც ძალზედ მნიშვნელოვანია მისი წევრი ქვეყნების შემდგომი წარმატებისათვის. თანამშრომლობა კონკრეტულ სფეროებში მძლავრი სტიმულია რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისათვის. რამდენადაც ქვეყნის ძირითადი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები ხორციელდება მეზობელ ქვეყ-

1 <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC/BSEC-Georgia.aspx>

ნებთან, საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. რეგიონის ქვეყნებთან არსებული სავაჭრო მაჩვენებლები ნათლად მიუთითებს საქართველოსათვის BSEC-ის მნიშვნელობაზე.

საქართველოს ეროვნული ინტერესები მდგომარეობს შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში, BSEC-ის წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. ამასთანავე, საქართველოს სტრატეგიები დამოკიდებულია ისეთ არსებით და ურთიერთდამოკიდებულ კომპონენტებზე, როგორცაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არსებული დემოკრატიული მონაგარის განმტკიცება და მათი შეუქცევადობის უზრუნველყოფა, ევრო-ატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. BSEC-ში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ზემოხსენებული მიზნების მიღწევას ეკონომიკური თანამშრომლობის მეშვეობით.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია არსებით წვლილს შეიტანს რეგიონში ეკონომიკური პრობლემების დარეგულირებაში, რაც ხელს უწყობს წევრი-ქვეყნების განვითარებას, ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის დაახლოვებასა და რეგიონის სტაბილურობას. გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისას, „ეკონომიკური განზომილება“ უდიდეს მნიშვნელობას შეიძენს. უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს საკუთარი პოლიტიკა, რათა უკეთ დაიცვას მისი წევრი-ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკა ლეკაშვილი, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია - მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის სრულყოფის მიმართულება, თბ., „უნივერსალი“, 2018.

2. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაცია, <http://www.bsec-organization.org/>

3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) შესახებ,

4. <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx>

5. AL Arzu, MEHMETCİK Hakan, Economic Regionalization and Black Sea in a Comparative Perspective, Marmara University Journal of Political Science, 2017, ISSN 2147-6934.

6. OECD (2016), OECD Regional Outlook 2016: Productive Regions for Inclusive Societies, OECD Publishing, Paris, pp. 18-19. <http://dx.doi.org/10.1787/9789264260245-en>

7. The Global Competitiveness Report 2019: Full Data Edition is published by the World Economic Forum within the framework of The Global Competitiveness and Benchmarking Network, Ed. Klaus Schwab,

8. http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf

9. The Global Competitiveness Report 2019: Full Data Edition is published by the World Economic Forum within the framework of The Global Competitiveness and Benchmarking Network, Ed. Klaus Schwab.

10. http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf

11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, <https://www.geostat.ge>

12. Regional Trade Agreements Information System (RTA-IS), User Guide (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების საინფორმაციო სისტემა. მომხმარებელთა გზამკვლევი) https://rtais.wto.org/UserGuide/RTAIS_USER_GUIDE_EN.html

POSSIBILITIES OF REGIONAL INTEGRATION OF FINANCIAL INSTITUTIONS OF GEORGIA

Xatuna Shalamberidze,

Doctor of Economics, Associate Professor
at Akaki Tsereteli State University;
xatuna-shalamberidze@mail.ru

RESUME

Georgia is located in the South Caucasus, at the crossroads of Europe and Asia. The general strategy of the country's development is freedom, rapid development, prosperity.

The purpose of the research is to find out the involvement of the financial institutions of Georgia and neighboring states in achieving regional economic results, to analyze the current situation and to determine the development prospects. Along with the priorities of the country strategy, the main strategic task is regional cooperation and integration - balanced development of the economy, greater functionality of urban areas, reduction of poverty and inequality, strengthening of governance and institutional capacity, involvement of banking, insurance and other financial institutions, which will help Georgia to make the most of its valuable advantages, including geographic location.

The implemented measures result in a variety of financing instruments. New financial institutions, together with the banking sector and insurance companies, will increase the quality of financial intermediation and, therefore, the effective placement of investment resources through risk insurance, which will ultimately improve access to finance both in the country and among the countries of the Black Sea region. In cooperation with financial institutions, new lending schemes will be introduced and new financial products will be developed.

Keywords: regional cooperation and integration; Strengthening economic ties; Opportunities for regional integration of financial institutions (banks, insurance companies).